დამამთავრებელი სემესტრის მაგისტრანტთა საყურადღებოდ!

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სამაგისტრო ნაშრომების წინასწარი დაცვა განხორციელდება **15-19 ივნისს,** კომისიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომების ანოტაციის განხილვის სახით.

8-10 ივნისს სტუდენტი ნაშრომის ანოტაციას ატვირთავს ქვემოთ მითითებულ ლინკზე https://www.tsu.ge/ge/faculties/social/study_proc/maprograms/80f2opg3c7j7bqwan// ,

დაცვის კომისია განიხილავს მაგისტრანტთა ანოტაციებს და წინასწარი დაცვის ოქმთან ერთად, უგზავნის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მაგისტრანტებისთვის გასაცნობად.

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვისთვის ანოტაციის შექმნის ინსტრუქცია:

სამაგისტრო ნაშრომის ანოტაცია შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სამაგისტრო ნაშრომის სათაური ((ქართულ და ინგლისურ ენებზე), სამაგისტრო პროგრამისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით;

2. თემის აქტუალობა/პრობლემის დასმა;

3. კვლევის დიზაინი (მიზანი, ამოცანები, საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდოლოგია, საჭიროების შემთხვევაში შერჩევის კრიტერიუმები);

4. საჭიროების შემთხვევაში თეორიული ჩარჩო/ლიტერატურის მიმოხილვა;

5. ნაშრომის ძირითადი მიგნებები.

ანოტაციის გაფორმება:

➢ ანოტაცია აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

➢ ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფართოებით). დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);

➢ შრიფტის სახე – Sylfaen;

➢ შრიფტის ზომა – 12;

➢ სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

➢ ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;

➢ ანოტაციის მოცულობა – არანაკლებ 4 გვერდისა.

სამაგისტრო ნაშრომების წინასწარი დაცვის გრაფიკი:

15.06.2020

სამაგისტრო პროგრამა „გენდერის კვლევა“

სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“

სამაგისტრო პროგრამა „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“

სამაგისტრო პროგრამა „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები“

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

16.06.2020

სამაგისტრო პროგრამა „კულტურისა და მედიის სოციოლოგია“

სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“

17.06.2020

სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“

სამაგისტრო პროგრამა „მესობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“

18.06.2020

სამაგისტრო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“

სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“

სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“

19.06.2020

სამაგისტრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“

სამაგისტრო პროგრამა „სოციოლოგია“

ფაკულტეტის ადმინისტრაცია გისურვებთ წარმატებებს